საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№29-1/21 „01“ ივლისი 2021 წ.

ტექნიკური დასკვნა ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ფატმანის ქუჩა №73-ში (ს/კ: 01.72.14.038.020) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გავლენისა, ირგვლივ მდებარე შენობა-ნაგებობებზე.

ქალაქ თბილისში, ფატმანის ქუჩა №73-ში, შ.პ.ს. „ელესჯი“-ს თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.72.14.038.020) დაგეგმილი აქვს ხუთ სართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. შენობის მზიდი კონსტრუქციული ნაწილი გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვან ვარიანტში, ჩარჩოს პილონების განივი კვეთებია LxB=60x40 სმ. (2 სართული) და LxB=40x40 სმ. (3 სართული). შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, გაბარიტული ზომებით ℓ×b=25.75×18.50 მ. სართულშორის გადახურვებად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი (რიგელებიანი) ფილები, სისქით 16 სმ. მონოლითური რიგელების განივი კვეთებია BxH=40x50 სმ. შენობის სართულიანობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- ერთი სართული სიმაღლით h=420 სმ.
- ოთხი სართული, თითოეული სართულის სიმაღლით h=320 სმ.

მოსაზღვრე ნაკვეთები

დასავლეთი - საპროექტო შენობის ტერიტორიას ესაზღვრება ნაკვეთი საკადასტრო კოდით №01.72.14.038.427, მასზე შენობა-ნაგებობები განთავსებული არ არის.

ჩრდილოეთი - ესაზღვრება ორი ნაკვეთი, საკადასტრო კოდით №01.72.14.056.011, რომელზეც არსებობს შენობა, საპროექტო შენობიდან არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობამდე მანძილი შეადგენს 25მ.-ს. და №01.72.14.094.862, რომელზეც ამჟამად მიმდინარეობს სამშენებლო

სამუშაოები, საპროექტო შენობიდან არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე მშენებარე ობიექტამდე მანძილი შეადგენს არანაკლებ 20მ.-სა.

აღმოსავლეთი - ესაზღვრება ნაკვეთი საკადასტრო კოდით №01.72.14.038.709, მასზე განთავსებულია ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლიდანაც საპროექტო შენობამდე მანძილი შეადგენს 2.2 მ.-ს.

სამხრეთი - ესაზღვრება გრუნტის საავტომობილო გზა.

შენობის მშენებლობისათვის დასამუშავებელი ქვაბულის კიდეები უახლოვდება აღმოსავლეთით (№01.72.14.038.709) მოსაზღვრე ნაკვეთს და მასზე განთავსებულ ნაგებობას და ასევე დასავლეთით (№01.72.14.038.427) არსებულ ნაკვეთს. იმისათვის, რომ მოცემული მიმართულებებით მშენებლობის პროცესში უზრუნველყოფილი იყოს ჩამოთვლილი შენობა-ნაგებობისა და ქვაბულის ფერდების მზიდუნარიანობა და უსაფრთხოება, პროექტის ავტორის მიერ დამუშავებულია ქვაბულის პროექტი, რომელიც გულისხმობს ნაბურღ-ინექცირებული ხიმინჯების მოწყობას დიამეტრით 15სმ. ხიმინჯების გეომეტრიულ ცენტრებს შორის მანძილი მიღებულია 80სმ. ხიმინჯების საორიენტაციო სიგრძე 220სმ.-ია. ხიმინჯების თავები გაერთიანდება მონოლითური რკინაბეტონის კოჭით, რომელიც უზრუნველყოფს ხიმინჯების ერთდროულ მუშაობას.

დასკვნა:

შ.პ.ს. „მონოლითი“ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ დაგეგმილი ხუთ სართულიანი შენობის მშენებლობა შესაძლებელია. იმისათვის, რომ ნულოვანი ციკლის მოწყობისას სამშენებლო სამუშაოების წარმოებამ არ მიაყენოს ზიანი ირგვლივ, მეზობლად მდებარე შენობა-ნაგებობებს (გამოკვლევა და შეფასება ჩატარდა არანაკლები 20მ. მანძილით დაცილებული სამშენებლო ობიექტებისათვის), აუცილებელია ნაბურღ-ინექციური ხიმინჯების მოწყობა მოცემული ნახაზების მიხედვით.

საპროექტო საცხოვრებელი სახლის მშენებლობა არ მოახდენს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას მეზობლად მდებარე შენობებზე, როგორც მშენებლობის პერიოდში, ასევე ექსპლოატაციის მთელი ვადის განმავლობაში.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი /მ. საველიძე/

ტელეფონის ნომერი: +995 599 15 66 49
ელექტრონული ფოსტა: Ltdmonoliti@gmail.com